



შპს „ევროპული სკოლა“ აცხადებს ვაკანსიას ქართული პროგრამის დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის თანამდებობაზე

ევროპული სკოლა არის საერთაშორისო სკოლების საბჭოს (CIS) მიერ აკრედიტებული პირველი სკოლა საქართველოში, რომელიც მოსწავლეებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობს - საბავშვო ბაღი, ქართული პროგრამა, IB (PYP / MYP / DP) და AHS.

თანამდებობის მიზანი:

ქართული პროგრამის დაწყებითი საფეხურის კლასებში გაკვეთილების ჩატარება და კომპეტენციის ფარგლებში სილაბუსით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა.

ფუნქცია-მოვალეობები:

- სასწავლო პროგრამის მიზნებისა და ინდიკატორების შესაბამისი სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა;
- ტრანსდისციპლინური სწავლების ხელშეწყობა; კომპეტენციის ფარგლებში უსაფრთხო და მოსწავლის ინტერესებს მორგებული სასწავლო გარემოს შექმნა;
- სემესტრული სილაბუსებისა და თემატური გეგმის შედგენა; უკუკავშირის სახით განმავითარებელი კომენტარის მიცემა, შეფასების რუბრიკების შექმნა და შეფასების სტრუქტურის შესახებ მოსწავლეების მუდმივი ინფორმირება;
- სასწავლო პროგრამის შესაბამისი მეთოდების გამოყენება; მოსწავლეთა ასაკობრივი და სხვა ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე, სასწავლო მეთოდების შერჩევა და სასწავლო პროცესის წარსამართად მათთვის აუცილებელი რესურსების მიწოდება;
- სასწავლო პროგრამით/სილაბუსით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მონიტორინგი და შეფერხების შემთხვევაში დროული რეაგირება;
- გაკვეთილების დაგეგმვა, ჩატარება და საგაკვეთილო პროცესის მართვა;
- მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობაზე ზრუნვა; ნებისმიერი პრობლემის/შეფერხების შემთხვევაში დროული რეაგირება; დამრიგებლის, უშუალო უფროსის, მშობლის ან სხვა პასუხისმგებელი პირის ინფორმირება;
- საჭიროებისამებრ მოსწავლეთა ცოდნის შეფასების მიზნით შემაჯამებელი ტესტების მომზადება; ტესტის შედეგების ანალიზი, რეფლექსია, მოსწავლეებისთვის დროული და კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა; მოსწავლეთა ტესტების/ნამუშევრების შენახვა სკოლაში დადგენილი სტანდარტების მიხედვით;
- სასწავლო პროექტების დაგეგმვა-განხორციელება;
- საჭიროებისამებრ მოსწავლეებისთვის დამატებითი გაკვეთილების ჩატარება;
- მშობელთა კრებებზე დასწრება, კრებებისთვის შესაბამისი რეპორტების მომზადება; საჭიროებისამებრ მშობლებთან მოსწავლეთა აკადემიური მდგომარეობის ინდივიდუალური განხილვა;
- ელექტრონული ჟურნალის წარმოება: საშინაო დავალებების შეტანა, საჭიროების შემთხვევაში თითოეულ მოსწავლეზე რეპორტების დაწერა, მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა, კომენტარების სახით დოკუმენტაციის წარმოება;
- კოორდინატორის ინფორმირება სასწავლო გეგმის მიმდინარეობისა და შესრულების შესახებ;
- სამსახურის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის მიღება; პროფესიული სიახლეების მუდმივი გაცნობა-ათვისება;
- საგნის პორტფოლიოს სრულყოფილი წარმოება;
- კომპეტენციის ფარგლებში მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა.



საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება

- ბაკალავრის ხარისხი, სასურველია პედაგოგიურ მეცნიერებებში;

გამოცდილება

- მასწავლებლად მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;

ცოდნა, უნარები, და სხვა შესაძლებლობები:

- კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
- ბავშვთა უფლებათა კონვენცია;
- ეროვნული სასწავლო გეგმა და საგნობრივი სტანდარტი;
- ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა.

კომპიუტერული პროგრამები:

- MS Office

პიროვნული მახასიათებლები:

- კომუნიკაბელურობა;
- ორგანიზებულობა;
- პუნქტუალურობა;
- დეტალებზე ორიენტირებულობა;
- კრეატიულობა;
- თვითგანვითარებისთვის მზაობა;
- სტრესის მართვის უნარის ფლობა;
- გუნდური მუშაობის უნარის ფლობა.

დაინტერესების შემთხვევაში, გამოაგზავნეთ თქვენი რეზიუმე (CV) ელექტრონული ფოსტის მისამართზე: vacancy@europeanschool.ge 2020 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

გთხოვთ, ელექტრონული წერილის თემის ველში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება, სხვა შემთხვევაში, რეზიუმე არ განიხილება.

აღნიშნულ ვაკანსიაზე მონაცემების გავზავნით ადასტურებთ, რომ თანახმა ხართ, კომპანიამ “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის“ ფარგლებში შეაგროვოს, დაამუშავოს და შეინახოს წარდგენილი ინფორმაცია (cv) თქვენი დასაქმებისთვის საჭირო პროცედურების წარმართვის მიზნით. პერსონალური მონაცემები გამოყენებული იქნება მხოლოდ აღნიშნული მიზნისთვის და თქვენი თანხმობის გარეშე არ გადაეცემა მესამე პირს.